

მთავარი ქურნალისტური გამოძიება კარმიდამო ჩემი 21-ს ქვევით G-NEWS TV სიახლეები

მთავარი თემა პოლიტიკა საზოგადოება ეკონომიკა სამართალი მკითხველი კულტურა სპორტი აკილო გაზეთის PDF ვერსია

განცხადებები

კონტაქტი

ფინანსური ანგარიში

ბლოგები

თამაშები

ფოტო

ვიდეო

"ნაჟუქარი" ვაუჩერი მოსახლეობას თავზე გადაახიეს! _ვიდეო

ნატო გოგელია, პარასკევი, 08 აპრილი 2011 09:13

Tweet 0 Like 7

სასამართლომ მოქალაქეებს ქონება ფარულად წართვა და არც კი მოუსმინა



2007 წელს, წინასწარჩვენოდ, "მოსახლეობის სათბობი შემოთმობარაგებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით", სოციალურად დაუცველ ადამიანებს სამუშეო ვაუჩერები დაურიგეს. ამასთან, უკიდურესად დაზარალებულ მოსახლეებს, ვისაც სახლი დაეწვა ან მეწყერმა დაუნგრია, "უფლებმა" მისცეს ადგილობრივი და სამხარეო ხელისუფლების ნებართვით, სამასალე მორი დაემზადებინა. სამუშეო მერქნისა და სამასალე მორის დამზადება მოსახლეობას უკიდურესად მძიმე ვითარებაში მოუხდა. მერქანი სამანქანე გზებიდან ათეულობით კილომეტრით დაშორებულ კვადრატებში მიეზომათ, საწვავის შეძენა, ავტომანქანის, შემისმჭრელების დაქირავება ნასესხები ფულით ზოგმა შემოლო, უმეტესობამ, ცხადია, ვერ მოახერხა და ამჯობინა "პრეზიდენტის ნაჟუქარი", ნომინალურ ფასად მაინც გაეყიდა. ამას მოჰყვა სახერხების არაერთგზის შემოწმება, დაყადაღება, საბოლოოდ კი, დალოქვა. მოსახლეობას კი ურჩიეს "სასამართლოს გადაწყვეტილებას დალოდებოდნენ" და ზამთარშიც სამართლის იმედიტ გამთბარიყვნენ... ასე გავიდა არა ერთი ზამთარი. ახლა კი, ყველაფერს ერთბაშად მოხვიეს ხელი და... წაიღეს!

სალხზე ზრუნვის "დიადი მიზნის" ოფიციალური ენა:

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის #255 დადგენილება: "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსახლეობის სათბობი შემოთმობარაგებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (დ. ჩანტლაძე) უზრუნველყოს 920 000 (ცხრაას ოცი ათასი) ცალი სათბობი შემოს ვაუჩერის დამზადება.

2. თითოეული ვაუჩერის ნომინალი განისაზღვროს 5 კმ-ით.

9. ბენეფიციარის მიერ ვაუჩერის წარდგენა და სათბობი შემოს მოპოვების უფლების მიღება გახორციელდეს შემდეგი ფორმით:

ა) ბენეფიციარი ვაუჩერს წარუდგენს შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს _ სატყეო დეპარტამენტის რეინჯერს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის სამსახურის უფროსს და უბნის უფროსს (მათ შორის სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით არსებული, შესაბამისი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების/დირექციების დაცვის სამსახურის უფროსს და უბნის უფროსს), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებებს _ სატყეო სამმართველოს უფლებამოსილ პირს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებებს _ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფლებამოსილ პირს;

ბ) ბენეფიციარის მიერ ვაუჩერის წარდგენის შემდგომ ამ პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი, ბენეფიციარის მოთხოვნის მიხედვით უზრუნველყოფს სამუშეო მერქნის გამოყოფას (მონიშვნას) და აღრიცხვას;

გ) ბენეფიციარის მიერ სამუშეო მერქნის დამზადების შემდგომ ამ პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი უზრუნველყოფს "სამუშეო მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის" გაცემას, რომელიც არის ბენეფიციარის მიერ სამუშეო მერქნის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი აუცილებელი და საკმარისი დოკუმენტი."

"დაითვლიან ყველაფერს, ნახავენ საბუთიერად და... "მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების უმეტესობას სათბობი შემოს და უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე მიკუთვნებული 5-5 კუბური მეტრი სამასალე მორის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი აუცილებელი და საკმარისი დოკუმენტები გააჩნიათ, ორ წელზე მეტი ხანი მათი კუთვნილი მორები სახერხებზე უკანონოდ მოჭრილის საბაბით ეყარა.

2010 წლის დასაწყისში, არჩვენებამდე რამდენიმე თვით ადრე, გურიის გუბერნატორი, ვალერი ჩიტაიშვილი ჩვენ გაზეთთან საუბრისას ამბობდა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდათ, კუთვნილ მორებს მიიღებდნენ:

_ დალუქულ სახერხებზე უნდა გკითხოთ. პრეზიდენტის მიერ "ნაჟუქარ" გამოყოფილი 5-5 კუბური მეტრი სამასალე მორი მოსახლეობის

უმეტესობას სახერხებზე უწყვია. სახერხები კი, ორ თვეზე მეტია დალუქულია. გარდა ამისა, დაკავებულია სატყეო სამმართველოს რამდენიმე თანამშრომელი. რა ხდება?

_ სატყეოსთან ადრეც იყო და ახლაც არის პრობლემები. ამას იძიებს გარემოს დაცვის საგამომიებლო დეპარტამენტი. რამდენადაც ვიცი, მალიან მალე უნდა დამთავრდეს გამოძიება. ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მიღებული 5 კუმპეტრი მასალა, თავისი ყველა შესაბამისი საბუთით, პრობლემა არ აქვთ და არც სახერხებს ექნებათ.

_ თუმცა, ორი თვეა, ეს პრობლემა მოუგვარებელია...

_ არც ერთ სახერხს არ ექნება პრობლემა, თუკი საბუთები წესრიგშია. მაგრამ თუ არ არის, ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება და, შესაბამისად, სწავლობს ის ორგანო, რომელმაც უნდა შეისწავლოს.

_ თუ საბუთები წესრიგში აქვთ, მაგრამ მასალით ვერ სარგებლობენ დალუქული სახერხების გამო?

_ არ არსებობს. დალუქულია მანამ, სანამ იქნება შემოწმება. დაითვლიან ყველაფერს, ნახავენ საბუთიერად და...

_ და ეს ზამთარიც გავა...

_ ზამთარი არა. მე რამდენადაც ვიცი, მალიან მალე უნდა დასრულდეს ეს პროცესი"

ამ საუბრიდან ერთ წელზე მეტია გასული. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული წელს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, გუბერნატორმა, პარლამენტარ ვახტანგ ზალავაძესთან ერთად ჩოხატაურში სტუმრობისასაც აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოგვარებას ეცდებოდა.

"სამართალს" გადაადგილება უჭირს!

თუმცა, ეს "მცდელობა" მიმდინარე წლის 7 აპრილს იმით დასრულდა, რომ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ სახერხზე თავმოყრილი მასალა წაიღო.

როგორც სააგენტოს წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, ხალხის ფულით მოჭრილი სამასალე მორი სახელმწიფოს კუთვნილებაში გასული წლის 18 აგვისტოს სასამართლოს დადგენილებით გადმოეცათ. თუმცა, ვერ აგვიხსნეს, რატომ არ შეატყობინეს ამის შესახებ მორების მეპატრონეებს ან სახერხის მფლობელს. როგორც ჩანს, "სამართალს" საქართველოში გადაადგილება უჭირს!

სახერხის მეპატრონე, დავით ბარამიძე "გურია ნიუსთან" საუბრისას ამბობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ მისთვის არაფერი იყო ცნობილი:

_ არც სასამართლოს და არც სხვა უწყების დადგენილება ჩემამდე არ მოსულა, _ გვითხრა ბარამიძემ.

2010 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასავლეთ საქართველოს საგამომიებლო ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ლომთაძე დავით ბარამიძეს წერს, რომ "შის (ბარამიძის) მიერ გამოძიების პროცესში და განცხადებაში მითითებული გარემოებები განხილული და გათვალისწინებული იქნება საქმეზე საბოლოო ობიექტური, კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს".

თუმცა, როგორც ახლა გაირკვა, ამ წერილის მოწერილსა, გადაწყვეტილება უკვე იყო გამოტანილი და "ობიექტურობისთვის" გასათვალისწინებელიც აღარაფერი ჰქონდათ!

ბარამიძის კუთვნილ სახერხზე 46 ადამიანის სამასალე მორი იყყო. არც ერთი მათგანი სასამართლოზე არ დაუზარებიათ. ისინი საკუთარი სურვილით ქუთაისის პროკურატურაში ჯერ კიდევ 2009 წელს ჩავიდნენ და სიმართლის გარკვევა კანონის ზედამხედველებისგან მოითხოვეს. უფრო მეტიც, მიმდინარე წლის 13 იანვარს, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას ერთობლივი საჩივრით მიმართეს.

"მოგახსენებთ, რომ გარემოს დაცვის პოლიციის და საგადასახადო ინსპექციის მუშაკთა მიერ ერთობლივად ჩატარებული რეიდის შედეგად, 2009 წლის ნოემბრის თვიდან, დაყადაღებულია ჩვენი კუთვნილი ხე-მასალა, რომელზედაც გავაჩნია ყოველგვარი დოკუმენტაცია. ეს მასალა დასახერხად მიტანილი გვექონდა შპს "ქრისტინას" სახერხში (დირექტორი დავით ბარამიძე). ადრე სისხლის სამართლის საქმეს იძიებდა გამომძიებელი გიორგი ლომთაძე. გურიის სატყეოს მთელი რიგი რეინჯერები პასუხისმგებლობა იქნენ მიცემული და გაასამართლეს, მაგრამ ჩვენი კუთვნილი ხე-მასალა, რომელიც დღემდე უპატრონოდ ყრია სახერხებში და ფუჭდება, მაინც არ გვიბრუნდება. როდესაც მივმართეთ შპს "ქრისტინას" დირექტორს, დავით ბარამიძეს, მან უარი გვითხრა ჩვენი კუთვნილი ხე-მასალის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ ხე-მასალა დაყადაღებულია და მის კომპეტენციაში არ შედის ამ საკითხის გადაწყვეტა. მას ამ საკითხზე, საოლქო პროკურატურაში შეტანილი ჰქონდა იგივე მოთხოვნა-განცხადება ჯერ კიდევ 2010 წლის ოქტომბრის თვეში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ იქნა მიღებული.

აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენს მსგავს მდგომარეობაშია დარჩენილი დაახლოებით ორმოცამდე მესაკუთრე, რომელთა კოლექტიური განცხადება ადრე წარმოდგენილი გვექონდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, მაგრამ მასზე რეაგირება არ მომხდარა.

მოგმართავთ წინამდებარე განცხადებით და გაყენებთ საქმის კურსში, რომ ხე-მასალა ჩვენს მიერ შეძენილია კანონიერად, შესაბამისი კანონიერი პროცედურების გავლით და მხოლოდ დასახერხად მივიტანეთ ბარამიძის სააქროში. გადახდილი გვაქვს ყველა სახის გადასახადი და ხე-მასალა გვესაჭიროება ჩვენი პირადი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რის გამოც გთხოვთ, მიგვიღოთ პირადად, მოსიმინოთ ჩვენი პრობლემები და გასცეთ განკარგულება, რათა საკითხი გადაწყვეტილი იქნას დროულად, კანონიერად და ჩვენი ინტერესების შესაბამისად, _ ვკითხულობთ ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს 6 ადამიანი აწერს.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორიდან, ვალერი კუჭუხიძის წერილიდან ირკვევა, რომ აღნიშნული განცხადება საქართველოს გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამომიებლო დეპარტამენტის დასავლეთ საგამომიებლო ჯგუფის უფროს გამომძიებელს, დავით ცქიტაშვილს გადაეგზავნა დასავლეთის საგამომიებლო ჯგუფის წარმომგებში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე დასართავად და გამოძიების პროცესში გასათვალისწინებლად."

არცერთ წერილში არ არის აღნიშნული, რომ გამოძიება და ყველაწიერი მოკლევადიანი დასრულებულია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ამ ადამიანებს, მიუხედავად წარმოდგენილი მტკიცებულებისა და ზანკვი გადახდილი ქვითრებისა, ქონება ისე წაართვა, რომ არც კი მოუსმინა.

"ნაჭუქარი" ვაუჩერი მოსახლეობას თავზე გადაახიეს! _ ვიდეო

ფინანსთა სამინისტროს სააგენტოს წარმომადგენლებმა 7 აპრილს, ბარამიძის კუთვნილ სახერხ საამქროსთან, დაზარალებულთათვის რჩევა-დარიგების მიცემა "არ დაიშურეს":

_ მიმართეთ სასამართლოს და თუ იქ გადაწყვეტენ, რომ კანონით გეკუთვნით, კი, ბატონო! ახლა ჩვენ გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილება _ ეს მორები სახელმწიფოს საკუთრებაშია და გადაგვაქვს სახერხზე დასახერხად. ასეთია ბრძანება. თუ ხელს შეგვიშლით, გამოვიძახებთ პოლიციას და კანონის შესაბამისად მოვიქცევით, _ განმარტება გააკეთეს სააგენტოს წარმომადგენლებმა.

ამ განმარტებამ სახერხზე შეკრებილი ადამიანები ძალიან გააღიზიანა:

_ ამათ რომ ჰკითხოთ, ქურდებს და ყაჩაღებს იჭერენ, არადა პირიქით _ თვითონ გვაყაჩაღებენ, _ გაბრაზება არ დაუფარავს ვასილ ლომთაძეს და სამინისტროს წარმომადგენლებს ბანკში გადახდილი 120 ლარიანი კვითარიც აჩვენა, თუმცა, ამ საბუთის ჩვენებას შედეგი არ მოჰყოლია.

"ასეთია ბრძანება და მორჩას" მოტივით მანქანები მორების წასაღებად მოამზადეს, რასაც ხალხის პროტესტი მოჰყვა.

_ ამ მორების აქამდე ჩამოტანა უზარმაზარი ფული დამიჯდა. ვისესხე და მოვჭერი. ვინმემ არ თქვას საჭუქარიაო, საჭუქარი კი არა, ხაფანგია. ჩემი სახლი სტიქიისგან სადაცაა დაინგრევა. კომისიის დასკვნაც მაქვს და სხვა ყველა შესაბამისი დოკუმენტი. იმიტომ ვიწველე, რომ სახლი გადამხურა, იმიტომ ვიმრომე, რომ შვილები ქუჩაში არ დამეტოვებინა! ახლა კი ჩემი ნაშრომი და ნაოფლარი იმ სახელმწიფომ წამართვა, რომელიც წესით მე უნდა მიცავდეს?! არ გავატან, დამიჭირონ, ამაზე მეტს რაღაც მიზამენ?! _ გვითხრა ტარიელ კეკელიძემ.

_ ლტოლვილებს უნდა გადასცენ ეს მორებიო. ჩვენ წავგართვან და სხვას მისცენ?! ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სოფელში ლტოლვილებად ჩვენვე გვხდიან. ეს არის პრეზიდენტის საჭუქარი?! _ გვითხრა გიორგი მახარაძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს მორებს დასახერხად ბარამიძის კუთვნილი სახერხიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, დავით კუტუბიძის სახერხზე გადასატანად ამზადებდნენ. ეს ის კუტუბიძეა, ცოტა ხნის წინ ქრთამის შეთავაზების ბრალდებით რომ დააკავეს და თავისუფლების სანაცვლოდ 40 000 ლარი გადაახდევინეს. როგორც კუტუბიძის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მორების დახერხვის უფლება მათ ტენდერის სახით მოიპოვეს. თუმცა, ვერ დაგვიკონკრეტა ვინ და როდის გამოაცხადა ტენდერი და ვერ ის გვითხრა, რა თანხას უხდიდნენ მათ ამ მორების დახერხვის სანაცვლოდ.

ადგილობრივ ხელისუფლების სამსიტყვიანი ლექსიკური მარაგი: _ დამშვიდდით, საკითხს შევისწავლით!

სახერხზე შეკრებილ ხალხთან ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ მას შემდეგ მივიდა, რაც სიტუაცია გამწვავდა _ გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს რამდენჯერმე დაურეკეს, საარჩევნოდ დადებული პირობა _ ხალხის გვერდში ყოფნა შეახსენეს და სახერხზე მოსვლა სთხოვეს:

_ სურები საერთოდ არ ახსენდებათ, არჩევნებზე ამოდიან და იცოცხლე, მიაქვთ და მიაქვთ ხმები. ყველა არჩევნებზე იტყუებიან. ახლა ნახონ, რა ხმებსაც წამოიღებენ. სახერხზე მოსვლაც კი არ იკადრეს. ვილაყვები მოგვიზავნეს და აგვისტოში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ახლა გვაყენებენ საქმის კურსში, _ თქვა ნათელა სანიკიძემ.

სახერხზე მოსვლმა საკრებულოს თავმჯდომარემ ანტონ ხუნდაძემ შეკრებილებს დაშლისკენ მოუწოდა:

_ თქვენ არ დაზარალებით. ვიცით, რომ არაფერ შუაში არ ხართ. რაღაც დოკუმენტაციაა გასარკვევი. ზოგის ყალბი არისო. თქვენი ვიცი, რომ არ არის ყალბი. ახლა აქ რომ ვიდგეთ, ვერაფერს ვიზამთ. თქვენთან შეხვედრა გუბერნატორს უნდა და წამობრძანდით გამგეობაში, ის გაგარკვევთ ყველაფერში. ამ მორების რაღაც ნაწილი მუნიციპალიტეტს გადმოეცა. ჩვენ შევისწავლით თქვენი ოჯახების მდგომარეობას და დაგვხმარებით. გამორიცხულია, რომ თქვენ დაზარალებდით, _ თქვა ხუნდაძემ. საინტერესოა, ევალუბა თუ არა ადგილობრივ ხელისუფლებას ინფორმაცია მანინგ მიაწოდოს მოქალაქეებს, რომელსაც მოსახლეობისთვის ჩამორთმეული ქონება აჩუქეს და ახლა, საკუთარივე ქონებით "დიდსულოვნად დახმარებას" ჰპირდება დაზარალებულებს?!

შეხვედრა გამგეობაში მართლაც შედგა, თუმცა, მასზე ჩვენი დასწრება გუბერნატორმა არ ისურვა. თითქმის ნახევრსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ (რომლის პარალელურად სახერხიდან მორებით დატვირთული მანქანები გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიდი-მოდიოდნენ), გუბერნატორის მიერ უკვე მერამდენედ დაიხმარებულმა ადამიანებმა გვითხრეს:

_ ბატონი ვალერი დავეპირდა, დაგაკმაყოფილებთ იმ ადამიანებს, ვისაც დოკუმენტაცია წესრიგში აქვს და ჩვენ გვჯერა, გვინდა, რომ დავიჯეროთ.

ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ აპირებს ამ ადამიანების დახმარებას გუბერნატორი თუ სასამართლომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, და ეს დაპირებაც, სხვა მრავლის მსგავსად, ხომ არ დარჩება მხოლოდ დაპირებად, ჩიტაიშვილმა გვიპასუხა:

_ მე ამ ადამიანებს ვუთხარი, რომ მომიტანონ დოკუმენტაცია და თუკი ყველაფერი სწორად იქნება, მათ გვერდში დავდგები.

რაში გამოიხატება გვერდში დგომა, ჩიტაიშვილს არ დაუკონკრეტებია. არც ის, იგივე დოკუმენტაციაში სასამართლომ თუ "ვერ იპოვა" ხალხისთვის სასარგებლო კანონიერი მოტივაცია, ჩიტაიშვილი როგორღა იპოვის.

"სოფლის მოსახლეობის ტყის რესურსებთან ხელმისაწვდომობის პრობლემა მხოლოდ შუშის მომარაგებით შეფერხებაში არ გამოიხატება. ტყით სარგებლობის არსებულმა სისტემამ და წესებმა შეუძლებელი გახადა, რომ სოფლად მცხოვრებმა ადამიანმა ლეგალური გზით მოიპოვოს ტყიდან მასალა სახურავისა და ღობის შესაკეთებლად, ბელისა და ბოსლის გასამართავად, ვაზის ჭიგოსა და ღობის სარის დასამზადებლად. ლაპარაკი აღარაა სახლის ასაშენებლად, თუ შესაკეთებლად სამასალე მერქნის მოპოვებაზე. ასეთმა ლეგალურმა ბაზამ, ნაცვლად სოფლების გაძლიერებისა და ახალმოსახლეობისა, შესაძლებელია, მათი აყრა გამოიწვიოს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტყით სარგებლობასთან დაკავშირებით არ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის რეალური საჭიროებებისა და საზოგადოების აზრის დროულად გათვალისწინება. მთავრობის ბოლო დროის პრიორიტეტები ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების გაყიდვით ბიუჯეტის მაქსიმალური შევსებაა, რამაც მეორე პლანზე გადასწია ყველა პრობლემა, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი, ელემენტარული საჭიროებების დროულად დაკმაყოფილება" _ ეს დასკვნა ასოციაციამ "შწვანე ალტერნატივა" ჯერ კიდევ გასულ წელს გამოაქვეყნა.

გასულ წელს, გურიის გუბერნატორი ამბობდა, რომ მისთვის მთავარი საქმის კუთებაა: "ჩვენთვის მთავარია, ზოგადად საქმე ვაკეთოთ როგორც არჩევნების დროს, ასევე არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ. ადამიანებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, ვის მისცენ ხმა, მაგრამ,

"ნაჩუქარი" ვაუჩერი მოსახლეობას თავზე გადაახიეს! _ვიდეო

ვფიქრობ, რომ ისიც არ შეიძლება, ადამიანებმა ვერ დაინახონ, რა კეთდება ან არ დაინახონ. ბევრი რაღაცეები კეთდება, ბევრი გაკეთდება, ბევრი გასაკეთებელი იქნება. ეს ცოცხალი პროცესია, რომელშიც ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ერთი ადამიანის მიერ რთულია ყველაფრის კეთება(?!). ყველა გურული უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ გააკეთოს კიდევაც!"

რამდენად არის გუბერნატორი მზად დაპირების შესასრულებლად, ამას მომავალი აჩვენებს. ამ ეტაპზე კი რეალობა ასეთია _ შეუსრულებელი დაპირებები, ხალხის ფულით შევსებული ბიუჯეტით გაზრდილი ხელფასები, დარიგებული პრემიები და ფეხებზე დაკიდებული, დაყაჩაღებული და უფლებააყრილი მოსახლეობა!

"ნაჩუქარი" ვაუჩერი მოსახლეობას თავზე გადაახიეს! _ვიდეო

მასალების გამოყენებისას აუცილებელია წყაროს მითითება

1128312
7189
TOP.GE 3553